დანართი IV: საჯარო კონსულტაციების შემაჯამებელი ანგარიში

2025 წლის 11 აპრილის სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებგვერდსა (იხ. ფოტო 1) და Facebook გვერდზე (იხ. ფოტო 2) გამოქვეყნდა შავი ზღვის ზონის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის 2025-2027 წლების გეგმის პროექტი (შემდეგში - პროექტი) საჯარო კონსულტაციებისთვის. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს 2025 წლის 28 აპრილის ჩათვლით შეეძლო პროექტთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენა ელექტრონული ფოსტის შემდეგ მისამართებზე: lasha.akhalaia@mepa.gov.ge, mariam.lomadze@mepa.gov.ge. პროექტის საჯარო კონსულტაციების თაობაზე განცხადება მოიცავდა ინფორმაციას საჯარო განხილვის ღონისძიებასთან დაკავშირებით. საჯარო კონსულტაციებისა და საჯარო განხილვის ღონისძიების შესახებ ინფორმაცია პროექტთან ერთად ასევე გაეგზავნა სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის სიახლეთა 5 000-მდე გამომწერს.

ფოტო 1 - განცხადება საჯარო კონსულტაციების დაწყების შესახებ სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებ-გვერდზე



ფოტო 2 - განცხადება საჯარო კონსულტაციების დაწყების შესახებ სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის Facebook გვერდზე

პროექტის საჯარო განხილვა გაიმართა 2025 წლის 28 აპრილს 15:00 საათზე ჰიბრიდულ ფორმატში: ფიზიკურად ქ. ბათუმში, გარემოს ეროვნული სააგენტოს რეგიონალურ ოფისში (მისამართი: ქ. ბათუმი, ადლიის ქუჩა №102ა), ხოლო ონლაინ ფორმატში ZOOM პლატფორმის საშუალებით. ინფორმაცია საჯარო განხილვის დროსთან, ადგილთან და ფორმატთან დაკავშირებით, ონლაინ შეხვედრის ლინკთან ერთად ხელმისაწვდომი იყო ყველა ზემოთხსენებულ განცხადებაში. პროექტის საჯარო განხილვას დაესწრო 22 მონაწილე, მათ შორის 76 ფიზიკურად, ხოლო 16 ონლაინ რეჟიმში. მონაწილეთა შორის 8 იყო მამრობითი სქესის, ხოლო 14 - მდედრობითი სქესისა. შეხვედრა 1 საათი და 20 წუთი და განხილულ იქნა პროექტის მიზნები, ამოცანები და აქტივობები.

აღნიშნული საჯარო კონსულტაციების შედეგად ელექტრონული ფოსტით 3 წერილი იქნა წარმოდგენილი, რომლებსაც ინდივიდუალურად გაეცა პასუხი. დამატებითი

შენიშვნები ასევე გაჟღერდა პროექტის საჯარო განხილვის ღონისძიებაზე. სულ წარმოდგენილ იქნა 11 შეკითხვა/რეკომენდაცია/კომენტარი, რომლებიც მოცემულია საჯარო კონსულტაციების შემაჯამებელ ანგარიშში. წარმოდგენილი შენიშვნები განიხილა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტის ატმოსფერული ჰაერის სამმართველომ შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად. წარმოდგენილი შენიშვნების შესაბამისად მომზადდა ცხრილი, რომელიც მოიცავს აღნიშნული შენიშვნების შინაარსს, მათი გათვალისწინების სტატუსს და შესაბამის არგუმენტაციას.

ცხრილი 1 - საჯარო კონსულტაციების ფარგლებში წარმოდგენილი შენიშვნების გათვალისწინების დონე

შემოსული შენიშვნების საერთო რაოდენობა	11
გათვალისწინებულია	1
ნაწილობრივ გათვალისწინებულია	3
არ არის გათვალისწინებული	5
არ საჭიროებს გათვალისწინებას	2

დეტალურად, შემოსული შენიშვნების რეესტრი და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს განმარტებები იხილეთ ცხრილში 2.

ცხრილი 2 - საჯარო კონსულტაციების ფარგლებში წარმოდგენილი შენიშვნების სია უკუკავშირის მითითებით

შ ე ნ ი შ ვ ნ ა	ს ტ ა ტუ ს ი	კ ო მ ე ნ ტ ა რ ი
საზოგადოებისთვის ღიად ხელმისაწვდომი არ არის ინფორმაცია ფოთის ტერმინალებით ტრანსპორტირებული ნაყარი ტვირთების შესახებ. ნაყარი ტვირთების შესახებ ინფორმაციას დაინტერესებულმა საზოგადოებამ შეიძლება მიაკვლიოს ისეთ შემთხვევებში, თუ ტერმინალის პროექტმა გაიარა გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურა. თუმცა, ასეთ შემთხვევებშიც კი, ინფორმაცია ძალზე ფრაგმენტულია, არასრულყოფილია (მაგალითად, ერთ-ერთი პროექტის გზშ ანგარიშიდან ირკვევა, რომ ტერმინალით გადაიზიდება კარბამიდი (აზოტის სასუქი), გოგირდი, ფეროსილიკომანგანუმი, სპილენძის კონცენტრატი და სხვა). იმისათვის, რომ საზოგადოებას სრული წარმოდგენა ჰქონდეს ზეგავლენის ხასიათზე, უნდა არსებობდეს ღიად ხელმისაწვდომი სრული ინფორმაცია იმის შესახებ, რა გადაიზიდება, როგორ საწყობდება და როგორ იტვირთება გემებში (და პირიქით, გემებიდან ტერმინალებში).	ნაწილობრივ გათვალისწინებულია	ფოთის საზღვაო პორტის ტერიტორიაზე განთავსებული ტერმინალებისა და აღნიშნულ ტერმინალებში ჩატვირთვა-ჩამოტვირთვის, გადაზიდვისა და დასაწყობების შესახებ ინფორმაცია განხილულია შესაბამის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში. პორტის გარეთ არსებული ე.წ. „ნაყარი ტვირთების ტერმინალი“ - შპს კავკასიან მეტალს ტერმინალი (ს/ნ415083778), რომელიც მდებარეობს ნაბადის უბანში ამჟამად არ არის მოქმედი. აღნიშნული ტერმინალი წარმოადგენს გარემოსდაცვითი ტექნიკურ რეგლამენტზე დაქვემდებარებულ საქმიანობას და მათ გააჩნია სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმებული ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში. სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა გასულ წლებში მოახდინა აღნიშნული საქმიანობის სუბიექტის ინსპექტირება. ინსპექტირების შედეგები

		დაინტერესებული პირებისთვის ხელმისაწვდომია გზდ-სთან მომართვის საფუძველზე. ამასთან, პროექტს დაემატა აქტივობა 1.1.7, რომელიც ითვალისწინებს საზღვაო ტერმინალებში ე.წ. ნაყარი ტვირთების დასაწყობების, ჩატვირთვა-ჩამოტვირთვისა და ტრანსპორტირების არსებული პრაქტიკის შესწავლა და რეკომენდაციების შემუშავებას ამტვერების შესამცირებლად. აქტივობა მოიაზრებს შესაბამისი კვლევის ჩატარებას, რომელიც მოიცავს ამ კუთხით საქართველოში არსებული პრაქტიკის მიმოხილვას და ასევე აღნიშნული პრაქტიკის გაუმჯობესების გზების იდენტიფიცირებას.
ნაყარი (ე.წ. ბინძური) ტვირთების ღიად დასაწყობება და ტერმინალების ტერიტორიაზე ღია წესით მიმდინარე გადატვირთვები გარემოს დაბინძურების ძალზე მნიშვნელოვანი წყაროა. ტერმინალების ოპერატორები ადგილობრივ, ზეგავლენის ქვეშ მოქცეულ მოსახლეობასთან დავისას, ამტკიცებენ, რომ ნაყარი ტვირთების გროვები დაფარულია და არ წარმოადგენს დაბინძურების წყაროს; მაშინ, როდესაც თავად მოსახლეობა ამის საპირისპიროს ხედავს ყოველ დღე. ამასთან, ტერმინალების ოპერატორები ხშირად ამტკიცებენ, რომ მათ აქვთ დამონტაჟებული დაბინძურების მონიტორინგის სისტემები და მათი მონაცემებით, არ დასტურდება დამაბინძურებელ ნივთიერებათა გაფრქვევის გადაჭარბება. ისინი ცდილობენ, თავიდან აირიდონ პასუხისმგებლობა და დამაბინძურებელთა გადაჭარბების შემთხვევაშიც, მიზეზს, დაბინძურების სხვა წყაროებით ხსნიან. გეგმით გათვალისწინებული ღონისძიება - შავი ზღვის ზონაში არსებული საწარმოების ინსპექტირების რაოდენობის გაზრდა (მათ შორის, შავი ზღვის ზონაში ჩატარებულია საზღვაო პორტების/ ტერმინალების სულ მცირე ერთი ინსპექტირება), უდავოდ, ძალზე მისასალმებელია, მაგრამ არასაკმარისი. ამდენად, სასურველია, გეგმას დაემატოს: • ტერმინალების მეტი ინსპექტირება; • ისეთი ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ნაყარ ტვირთებთან	ნაწილობრივ გათვალისწინებულია	საზღვაო პორტების და მის ტერიტორიაზე განთავსებული ტერმინალების ინსპექტირება არის კომპლექსური პროცესი, რომელსაც სჭირდება სათანადო ტექნიკური, ფინანსური, ადამიანური და დროითი რესურსი. სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი პასუხისმგებლობას იღებს, რომ 3 წლის განმავლობაში უზრუნველყოფს ზონაში არსებული საქართველოს იურისდიქციას დაქვემდებარებული 3 საზღვაო პორტისა და პორტში მდებარე ტერმინალების ინსპექტირებას. ინსპექტირების ფარგლებში დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში ხდება საქმიანობის სუბიექტისადმი ადმინისტრაციული მიწერილობის წარდგენა, რომლის შესრულებაც ასევე მოწმდება გზდ-ს მიერ გარკვეული დროის შემდგომ. დეპარტამენტის ადმინისტრაციული რესურსების გათვალისწინებით აღნიშნული ღონისძიება არის საკმაოდ ამბიციური და განგრძობითი, რათა ინსპექტირებით გამოვლენილი დარღვევები გამოსწორებული იქნას. პროექტის 1.1.1 აქტივობა ასევე მოიცავს ყოველწლიურად საქმიანობის სუბიექტების სულ მცირე 200 ინსპექტირების ჩატარებას, რაც მიზანშეწონილობის გათვალისწინებით მოიცავს შავი ზღვის პორტებს გარეთ

მოპყრობის პრაქტიკის გაუმჯობესებას, მათ შორის, დასაწყობების პრაქტიკის გაუმჯობესებას, ასევე, ნაყარი ტვირთების გემებში ჩატვირთვის/გადმოტვირთვის უკეთესი (მაგ., დახურული კონვეიერული) სისტემის დანერგვას;		მდებარე ე.წ. ნაყარი ტვირთების ტერმინალებსაც. ამასთან, პროექტს დაემატა აქტივობა 1.1.7, რომელიც ითვალისწინებს საზღვაო ტერმინალებში ე.წ. ნაყარი ტვირთების დასაწყობების, ჩატვირთვა-ჩამოტვირთვისა და ტრანსპორტირების არსებული პრაქტიკის შესწავლა და რეკომენდაციების შემუშავებას ამტვერების შესამცირებლად. აქტივობა მოიაზრებს შესაბამისი კვლევის ჩატარებას, რომელიც მოიცავს ამ კუთხით საქართველოში არსებული პრაქტიკის მიმოხილვას და ასევე აღნიშნული პრაქტიკის გაუმჯობესების გზების იდენტიფიცირებას.
პრობლემურია, ასევე, მძიმეწონიანი სატრანსპორტო საშუალებების 24-საათიანი მოძრაობა, კონკრეტულად, ფოთის ნაბადას უბანში. ტვირთების ტრანსპორტირებით გამოწვეული ჰაერის დაბინძურება, ხმაური და ვიბრაცია მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს გზების გასწვრივ მცხოვრები მოსახლეობის ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, ასევე, მათი საცხოვრებელი სახლების მდგომარეობაზე. სასურველია, გეგმას დაემატოს: • ისევე როგორც ბათუმის შემთხვევაში, ფოთის მოსახლეობის ექსპოზიციის შეფასება მავნე ნივთიერებების ჭარბი კონცენტრაციებისადმი; • მძიმეწონიანი სატრანსპორტო საშუალებების დასახლებულ ტერიტორიაზე უწყვეტი მოძრაობის დარეგულირების ღონისძიებები (მაგალითად, შემოვლითი გზის მშენებლობის საკითხის განხილვა);	ნაწილობრივ გათვალისწინებულია	ჰაერის დაბინძურების მოსახლეობაზე ექსპოზიციის შეფასების ინსტრუმენტს, რომელიც 2023 წელს სსიპ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ იქნა საპილოტედ გამოყენებული, წარმოადგენს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის პროგრამა AirQ+. აღნიშნული პროგრამის გამოყენებით ექსპოზიციის გასაანგარიშებლად აუცილებელია საბაზისო ინფორმაცია, მათ შორის გასული წლებში ატმოსფერული ჰაერის ხარისხობრივი მონაცემები. ქ. ფოთში ამ ეტაპზე არ არის განთავსებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ავტომატური სადგური, შესაბამისად არ არის ხელმისაწვდომი აუცილებელი საბაზისო ინფორმაცია AirQ+ პროგრამის გამოსაყენებლად. პროექტი მოიცავს აქტივობა 1.1.3-ს - ქ. ბათუმში მშენებლობის, დემონტაჟის და ამტვერებადი მასალების ტრანსპორტირების დროს მტვრის ემისიების პრევენციის შესახებ რეგულაციების აღსრულების გაუმჯობესება, რომელიც შეეხება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 152^5, 152^6, 152^7, 152^8 და 152^9 მუხლებით გათვალისწინებული დებულებების აღსრულებას. აღნიშნული მუხლები ეხება სამშენებლო მოედანზე ამტვერებადი მასალის განთავსებასა და

		ტრანსპორტირებას. აქტივობის განხორციელების არეალი გაიზარდა და 1.1.3 აქტივობას ასევე განახორციელებს ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერია, კერძოდ ისინი განახორციელებენ სულ მცირე 30 შემოწმებას წლის განმავლობაში. გასათვალისწინებელია, რომ აქტივობა 1.2.3 ითვალისწინებს შავი ზღვის ზონაში გზებზე ასს-ების გამონაბოლქვის კონტროლის ინტენსივობის გაზრდა, რაც შესაძლებელია განხორციელდეს ქ. ფოთში ამ ტიპის ინსპექტირების დანერგვით. ამ შემთხვევაში გაკონტროლდება ქალაქში მოძრავი ნებისმიერი ტიპის ავტომობილების (მათ შორის მძიმე სატვირთო სატრანსპორტო საშუალებების) გამონაბოლქვის დონეები. რაც შეეხება შემოვლითი გზის მშენებლობის საკითხს, აღნიშნული მოითხოვს მნიშვნელოვან ფინანსურ რესურსს, რაც ამ ეტაპზე არ არის ხელმისაწვდომი.
იმავე ნაბადას უბანში, ინტენსიურად განაშენიანებულ ხობისა და სამეგრელოს ქუჩებზე, ამჟამად მიმდინარეობს [გარემოზე ზემოქმედების შეფასების გარეშე] სს ,,ფოთი ტრანსტერმინალის“ მულდიმოდალური ტერმინალის მშენებლობა. ამ კიდევ ერთი ტერმინალის მშენებლობას საზოგადოების პროტესტი მოჰყვა, ტერმინალის მშენებლობისა და ოპერირების, სხვა დამაბინძურებელ საწარმოებსა და მრავალრიცხოვანი მძიმეწონიანი სატრანსპორტო საშუალებების გამტარ მაგისტრალურ ქუჩასთან ერთად, გარემოსა და ადამიანებზე კუმულატიური ზეგავლენის გამო. სასურველია გეგმას დაემატოს: • ტერმინალების რაოდენობის ზრდით გამოწვეული ჰაერის კუმულატიური დაბინძურების სისტემური გადაჭრის ღონისძიებები.	არ არის გათვალისწინებული	ეკონომიკური საქმიანობების გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურები (სკრინინგი, სკოპინგი, გზშ) წარმოადგენს ძირითად მექანიზმს ჰაერის დაბინძურების მნიშვნელოვანი წყაროების ნორმირებისთვის. აღნიშნული პროცედურების ფარგლებში თითოეულ მნიშვნელოვან საქმიანობასთან დაკავშირებით სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოსთვის წარდგენილი უნდა იქნას ინფორმაცია მოსახლეობაზე შესაძლო კუმულაციური ზემოქმედების თაობაზეც არსებული სხვა საქმიანობების გათვალისწინებით. ჰაერში გაფრქვევების ნორმების პროექტი მოიცავს მავნე ნივთიერებათა ჰაერში გაბნევის მოდელირების შედეგებს, რაც წარმოადგენს ქმედით მექანიზმს შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისა და ნორმების დადგენისთვის. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის II დანართის მე-9 პუნქტის 9.3

		ქვეპუნქტის შესაბამისად, გარემოსდაცვითი პროცედურების გავლა ჭირდება საკონტეინერო ტერმინალისა და მასთან დაკავშირებული სარკინიგზო ხაზის მშენებლობასა და ექსპლუატაციის" საქმიანობას. სს „ფოთი ტრანსტერმინალის“ (ს/ნ 215080105) კუთვნილ ტერიტორიაზე ამჟამად მიმდინარეობს მხოლოდ საკონტეინერო ტერმინალის მოწყობა და არ მიმდინარეობს სარკინიგზო ესტაკადის მოწყობა. შესაბამისად, აღნიშნული საქმიანობა არ ექვემდებარება გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებულ სკრინინგის პროცედურას. თუკი პროექტს დაემატება კონტეინერების გადაზიდვის სარკინიგზო ხაზიც, მაშინ საქმიანობა დაექვემდებარება გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებულ სკრინინგის პროცედურას და საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებული იქნება წარმოადგინოს ინფორმაცია შესაბამისი თავისი და სხვა ახლომდებარე ეკონომიკური საქმიანობების კუმულაციურ ზემოქმედებასთან დაკავშირებით.
გეგმით გათვალისწინებული ღონისძიება - ფოთში ავტომატური სადგურის განთავსება, უდავოდ, ძალზე მისასალმებელია, მაგრამ ჰაერის ხარისხის მონიტორინგის შედეგების მიმართ ადგილობრივი მოსახლეობის ნდობის მოსაპოვებლად, ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ავტომატური სადგურის განთავსება მოხდეს განთავსების ადგილზე ადგილობრივებთან კონსულტაციით, მათი აზრისა და გამოცდილების გათვალისწინებით, და მიღებული გადაწყვეტილების მოსახლეობასთან კეთილგანწყობილი კომუნიკაციით.	არ საჭიროებს გათვალისწინებას	ქ. ფოთში ავტომატური მონიტორინგის სადგურის განთავსება მოხდება „ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დაბინძურების დონეზე დაკვირვების პუნქტების/სადგურების მინიმალური სტანდარტული რაოდენობის, განლაგებისა და ფუნქციონირების წესების, აგრეთვე დაბინძურების დონის გაზომვის სტანდარტული მეთოდების ჩამონათვალის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 1 დეკემბრის N563 დადგენილების მიხედვით. ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული დაკვირვების სადგურების განთავსებისამდი მოთხოვნები შეესაბამება ევროკავშირის ჩარჩო დირექტივის დებულებებს. გახსნის ღონისძიების ფარგლებში მოხდება მოსახლეობის ინფორმირება იმის შესახებ, თუ რა კრიტერიუმებით იქნა შერჩეული სადგურის ლოკაცია.

სასურველია, გეგმა შეეხოს, ასევე, ფოთის მოსახლეობისთვის ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხს (რომელიც ორი ათეული წელია აწუხებს მოსახლეობას), როგორიცაა თევზის საწარმოების ფუნქციონირებით გამოწვეული სუნი და მისი თავიდან აცილება. მოსახლეობის დაკვირვებით, თევზის ინტენსიური სუნის გავრცელება იწყება თევზჭერის სეზონის დადგომასთან ერთად (ნოემბრის ბოლოდან) და 4-5 თვის განმავლობაში გრძელდება. თევზის ძლიერი სუნი მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ფოთის მოსახლეობის ცხოვრების ხარისხზე, მოსახლეობის ნაწილი თევზის სუნის გავრცელებას ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებასაც კი უკავშირებს.	არ არის გათვალისწინებული	ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის გეგმა არ არის ორიენტირებული სტაციონარული გაფრქვევის ერთეული წყაროდან დაბინძურების შემცირებაზე. კონკრეტული ინდივიდუალური საქმიანობის სუბიექტიდან დაბინძურების შემთხვევაზე რეაგირებას ახდენს სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი, რომელიც ახორციელებს საქმიანობის სუბიექტების ზედამხედველობას საქართველოს კანონმდებლობის განსაზღვრული დებულებების შესაბამისად.
ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამონაბოლქვის გზებზე კონტროლს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი არ ახორციელებს	არ საჭიროებს გათვალისწინებას	პროექტში არ ფიქსირდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია შესაბამის აქტივობაზე (1.2.3) პასუხისმგებელ ორგანოდ.
პროექტის მე-9 გვერდზე მითითებულია, რომ ბათუმის არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელზე მოეწყო აირების შეგროვებისა და გადამუშავების სისტემა, რაც არ შეესაბამება სიმართლეს. ამასთან მიმდინარეობს ცეცხლაურის ახალი ნაგავსაყრელის მშენებლობის პროექტი, რაც მოიცავს აღნიშნული სისტემის მოწყობას.	გათვალისწინებულია	შესაბამისი ჩანაწერია პროექტიდან ამოღებულ იქნა.
აქტივობა 1.1.4 (1.1.4.1) - ქ. ბათუმში ამტვერებადი სამშენებლო მასალების განთავსების და რეალიზაციის შესახებ რეგულაციების შემოღება - პასუხისმგებელი პირი ვერ იქნება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ვინაიდან არ აქვს საკანონმდებლო ინიციატივის წარდგენის უფლება.	არ არის გათვალისწინებული	აქტივობას აქვს 2 ინდიკატორი, რომელთაგან ერთი შეეხება ამტვერებადი სამშენებლო მასალების განთავსებისა და რეალიზაციის თაობაზე საკანონმდებლო ცვლილების ინიცირებას, ხოლო მეორე ადგილობრივ დონეზე შესაბამისი წესის შემუშავებასა და თვითმმართველობის საკრებულოსთვის წარდგენას. აქტივობის განხორციელებაში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის პარტნიორ უწყებად მითითებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, რომელიც მოახდენს შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივის წარდგენას საქართველოს მთავრობისთვის, ხოლო შემდეგ საქართველოს პარლამენტისთვის. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილების ინიცირება მოითხოვს მუნიციპალიტეტის აქტიურ ჩართულობას და მხარდაჭერას, ასევე შესაბამისი წესის შემუშავება უშუალოდ უნდა მოხდეს თავად ქ. ბათუმის

		მუნიციპალიტეტის მერიის მიერ. შესაბამისად აქტივობით გათვალისწინებული საქმიანობის უმეტესი ნაწილი სრულდება სწორედ მუნიციპალიტეტის მიერ და მიზანშეწონილია სწორედ ის იყოს აქტივობის განხორციელებაზე პასუხისმგებელი უწყება.
ამოცანა 1.2 - შავი ზღვის ზონაში აზოტის დიოქსიდის (NO2) გაფრქვევების შემცირება - პასუხისმგებელი უწყება ვერ იქნება მხოლოდ ქ, ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ვინაიდან ამოცანაში მოცემული ყველა ღონისძიების განმახორციელებელი არ არის ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი.	არ არის გათვალისწინებული	პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის მიხედვით, რომლის საფუძველზეც იქნა პროექტი შემუშავებული, ამოცანის განხორციელებაზე პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს მხოლოდ 1 უწყებას. ვინაიდან 1.2 ამოცანის აქტივობების უმრავლესობის განხორციელებაზე პასუხისმგებელია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ამასთან აზოტის დიოქსიდის ზღვრულად დასაშვებ ნორმებზე გადაჭარბება ზონაში ფიქსირდება მხოლოდ ქ. ბათუმში და ამოცანის შედეგის ინდიკატორიც სწორედ ქ. ბათუმში განთავსებულ დაკვირვების პუნქტზე მიღებული მონიტორინგის შედეგებით გაიზომება, მიზანშეწონილია ამოცანაზე ფორმალური პასუხისმგებლობა დაეკისროს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას.
გეგმით გათვალისწინებული აქტივობების ძირითადად ხორციელდება ქ. ბათუმში, ქ. ფოთსა და ქ. ზუგდიდში, მაშინ როცა შავი ზღვის ზონა ასევე მოიცავს სხვა მუნიციპალიტეტებსაც, მაგალითად ხელვაჩაურსა და ქობულეთს. ხომ არ არის საჭირო გეგმაში დაემატოს ამ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი აქტივობებიც.	არ არის გათვალისწინებული	მიუხედავად იმისა, რომ შავი ზღვის ზონა მოიცავს 11 მუნიციპალიტეტს (რაიონს), ჰაერის დაბინძურების კუთხით პრობლემები ფიქსირდება მხოლოდ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტში. ამასთან, ქ. ფოთში არის ჰაერის დაბინძურების მნიშვნელოვანი სტაციონარული წყაროები, ხოლო ქ. ზუგდიდში განთავსებულია ავტომატური მონიტორინგის ხელსაწყო, რაც უფრო ზრდის დაინტერესებას აღნიშნული ლოკაციებით. გარდა ამისა პროექტი მოიცავს არა ერთ აქტივობას, რომელიც სახელმწიფო უწყებების მიერ განხორციელდება და დადებით ზემოქმედებას იქონიებს, როგორც ამ სამ ქალაქზე, ასევე შავი ზღვის ზონის სხვა მუნიციპალიტეტებზე. ბათუმზე, ფოთსა და ზუგდიდზე ფოკუსირება ასევე განაპირობა გეგმის სამდივნოს

		შეზღუდულმა დროითმა და ადამიანურმა რესურსებმა.